არქიმანდრიტი მიქაელ ეჯიბიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია

ქართული კულტურა „მცირე აღორძინების“ ხანაში (XVI-XVII სს.)

საქართველოს ისტორიაში XVI-XVII საუკუნეები ურთულესი პერიოდი გახლდათ. ყოველმხრივი შემოსევების ფონზე ძალზედ ძნელი იყო ქვეყნის კულტურულ აღორძინებასა და რაიმე ახლის შექმნაზე საუბარი. ალბათ უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ასეთ მძიმე პერიოდში არსებულის შენარჩუნება, მისი გადარჩენა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ახლის შექმნა. როგორც დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ ბრძანებს, რაიმეს შექმნას „სიბრძნე და მოცალეობა“ სჭირდება. ქართველ კაცს სიბრძნე არასოდეს აკლდა, თუმცა აღნიშნულ ეპოქაში მოცალეობისა რა მოგახსენოთ. ისევ გრძელდებოდა ჩვენ მიერ განსახილველ პერიოდში ურიცხვი მტრის შემოსევა როგორც აღმოსავლეთ, ისე სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში. „ამ დროს დაკარგა საქართველომ თავისი ტერიტორიის თითქმის მესამედი, რომელიც ქართული ფეოდალური კულტურის, მეცნიერებისა და ქრისტიანობის ერთ-ერთი ბურჯი იყო“ [1, 270]. ტერიტორიის დაკარგვა თავისთავად იმ კულტურული ძეგლების დაკარგვასაც ნიშნავდა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ამშვენებდნენ ჩვენს სამშობლოს. მტრის მთავარი დარტყმა სწორედ სწავლა-განათლების კერებსა და საეკლესიო ცენტრებზე მოდიოდა, ვინაიდან კარგად იცოდა მომხვდურმა, რომ როდესაც ერს მთავარ საზრდოს, მთავარ მკვებავ ძარღვს წაართმევ, მაშინ არის მისი მორევა შესაძლებელი. ამიტომაც, ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რომ ეს ძარღვი გაეწყვიტა.

მოგეხსენებათ, სწავლა-განათლება ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან არსებული საგანმანათლებლო ცენტრებით იყო წარმოდგენილი. ეკლესიების ნგრევის პარალელურად არსებობას წყვეტდნენ ეს ცენტრებიც და, შესაბამისად, ერის სულიერი დაკნინებაც იწყებოდა. განსაკუთრებული ზარალი აღმოსავლეთ საქართველომ განიცადა, სადაც შაჰ აბას I-ის შემოსევების შედეგად კახეთის მოსახლე-

ობის ორი მესამედი განადგურდა. აოხრდა და გაცამტვერდა მრავალი წლისა და საუკუნის განმავლობაში მარგალიტებივით შეძენილი და ნაკოწიწები სულიერი საგანძურებიც: ეკლესია-მონასტრები, სკოლები, წიგნთსაცავები, ფერწერული თუ მინიატურული მხატვრობის უნიკალური ნიმუშები, რომლებსაც დღემდე ბადალი არ ჰყავთ მსოფლიო ხელოვნებაში.

მიუხედავად ამ მძიმე ეკონომიკურ-სოციალურ-სულიერი მდგომარეობისა, ისევე, როგორც საქართველოს ისტორიის ნებისმიერ ეპოქაში, კულტურული განვითარება არ შეწყვეტილა. საკმარისი იყო ქართულ სამეფო-სამთავროებში მცირე დროით მშვიდობისა და სიმშვიდის დამყარება, რომ ეს დრო საკმარისი იყო კულტურის, ძირითადად ლიტერატურის დარგში ახალი შემოქმედებითი ნიჭის გამოსავლენად. ამ პერიოდში შეიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომ XVI-XVII საუკუნეების პერიოდს „აღორძინების ხანა"-ც კი ეწოდა. რა თქმა უნდა, ეს აღორძინება არ გახლდათ ევროპული რენესანსის მსგავსი და ტოლი, თუმცა XII საუკუნეში საქართველოში უკვე არსებული რენესანსის ნიშნები, ჯერ კიდევ არ იყო მოსპობილი [1, 270].

განათლება. ეპოქის გათვალისწინებით ამ პერიოდის სწავლა-განათლების დონე მნიშვნელოვნად იყო დაქვეითებული შუასაუკუნეების (XI-XII სს.) პერიოდის დონესთან შედარებით. ეს თავისთავადაც ცხადია, ვინაიდან „ოქროს ხანად" წოდებული შუასაუკუნეების, როგორც ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, მტკიცე და მოქნილი ზნეობრივი და სულიერი მდგომარეობა საქართველოსი, იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ქვეყნის კულტურული აღორძინება განხორციელებულიყო. ამას, მოგეხსენებათ, არ განაპირობებდა მხოლოდ მატერიალური მხარე, არამედ ორი მთავარი კომპონენტის: სახელმწიფოსა და ეკლესიის ჰარმონიული ურთიერთობა, დაწყებული დავით IV აღმაშენებლის მიერ გატარებული რეფორმებით, რომელთა საშუალებითაც საქართველოს პოლიტიკურმა და რელიგიურმა ცნობიერებამ თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. საქართველოს აღორძინებამ მისი კულტურა ევროპული რენესანსის დონემდეც კი აღამაღლა და შეიძლება ითქვას, რომ ცოტაოდენ გაუსწრო კიდეც მას. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო მოსახლეობის რელიგიური ცნობიერების განვითარება, შეგნებული ქრისტიანობა და მასზე დაფუძნებული ლტოლვა სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის. სწორედ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისათვის ქვეყნის

აღმასრულებელ ხელისუფლებაში პირველი სახელოს ბოძება გახდა ის საფუძველი, რომელზეც წმინდა მეფემ საქართველოს მომავალი დააშენა.

დავითის შემდეგ ქვეყნის აღმავალი მდგომარეობა მისი მემკვიდრეების მეფობისას ინერციით გრძელდებოდა. რა თქმა უნდა, თამარ მეფის ზეობის ხანაც უმნიშვნელოვანესია საქართველოს კულტურული აღორძინებისათვის. მარტო რად ღირს მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოების – „ვეფხისტყაოსანის" შექმნა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადრეული რენესანსის პერიოდი თავისი განვითარებისა და აღმავლობის ზენიტში იყო. თუმცა, თამარის პერიოდიც დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად მიღებული მდგომარეობის გაგრძელება გახლდათ, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში გამოკვება ქართული სახელმწიფო და ქართველი ერი.

XVI-XVII სს-ში განათლების მიღების საშუალება, რომელიც ეკლესია-მონასტრებთან არსებული საგანმანათლებლო კერების საშუალებით მიიღწეოდა, უკვე გაძნელებული იყო. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, რომელთაც არ გააჩნდათ სათანადო პირობები წერა-კითხვის შესასწავლადაც კი. არისტოკრატთათვის ეს „ფუფუნება" არასოდეს წარმოადგენდა პრობლემას. განათლების საქმეს ეკლესია უძღვებოდა, ხოლო აღზრდის სისტემა არ გახლდათ მხოლოდ სასულიერო, არამედ საეროც. ვინაიდან გარდა ღვთისმეტყველებისა, ისწავლებოდა: ისტორია, ფილოლოგია, ფილოსოფია, მათემატიკა, გეოგრაფია და სხვა საგნები.

სწავლა-აღზრდის საქმეში მოწინავე იდეები ეკუთვნოდა მეფე პოეტ არჩილს [2, 313]. მისი იდეებით, სწავლა-განათლების მიღების შესაძლებლობა მოსახლეობის ფართო ფენებს უნდა ჰქონოდათ და არა მხოლოდ არისტოკრატებს. მთავარი როლი მასწავლებელს ეკუთვნოდა, რომელიც ადვილიდან რთულისაკენ თანდათანობით გადასვლის მეთოდით ძნელად გასაგებს ადვილად გადასცემდა მოწაფეს. ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში, რეფორმატორი მეფის მიერ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, თავადაზნაურების შვილებთან ერთად მოსახლეობის დაბალი ფენებიდან გამოსული ბავშვებიც სწავლობდნენ. თუმცა, სკოლები ასევე მეფეთა და მთავართა სასახლეებშიც არსებობდა. რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, ერთადერთი ვარაუდი გახლავთ აკადემიის არსე-

ბობა გრემში, რომელიც შაჰ აბასის შემოსევების შედეგად განადგურდა 1614-1617 წწ.

მართლმადიდებლური სასწავლებლების გარდა ამ პერიოდის საქართველოში არსებობდა აგრეთვე რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მიერ მისიონერული მოღვაწეობისას დაარსებული სასწავლო დაწესებულებებიც, სადაც გარდა ღვთისმეტყველებისა, ისწავლებოდა უცხო ენებიც. ისევე როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, ჩვენშიც აღნიშნული მისიონერული სკოლების ძირითად მოვალეობას არა იმდენად ერის განათლება წარმოადგენდა, რამდენადაც იდეოლოგიური და რელიგიური ზემოქმედება ქართველ ერზე. მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი რელიგიის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მრევლი. მისიონერული მოღვაწეობაც შესაბამისად მიზნად ისახავდა, სარწმუნოების გავრცელების პარალელურად, რომაულ-კათოლიკური ეკლესიისათვის მრევლის შემატებას. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ სამხრეთ საქართველოში მცხოვრები უამრავი კათოლიკე ქართველი და სომეხი ეროვნების ადამიანი, რომელთაც სარწმუნოების გამო „ფრანგებს" უწოდებენ.

მისიონერებმა, რომლებიც ძირითადად დედაქალაქსა და მსხვილ ქალაქებში მოღვაწეობდნენ, დააარსეს საკვირაო და დაწყებითი სკოლები. პირველი მისიონერული სკოლა გაისხნა თბილისში 1630 წელს, შემდეგ სამეგრელოში, 1670 წელს კი ქუთაისში, გორში და სხვ. წარჩინებული მოსწავლეები იგზავნებოდნენ რომის პაპის მიერ დაარსებულ კოლეჯში, სადაც კათოლიკე მღვდლებს ამზადებდნენ. აღნიშნული სისტემა კარგად ჰგავს და შეიძლება ითქვას ზუსტი ასლია მუსლიმანური თურქეთის მიერ განხორციელებული იმ პროექტისა, რომელიც დღესაც მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში. განსაკუთრებული ყურადღება მას აჭარის მთიანეთში ექცევა. პატარა ბავშვები სასწავლებლად თურქეთის მიერ დაფინანსებულ პანსიონატებში მიჰყავთ. წარმატებულ მოსწავლეებს აგზავნიან თურქეთში, სადაც მათ მომავალ სასულიერო პირებად ამზადებენ. თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ იდეოლოგიური სამსახური ეკლესიაში გაცილებით კარგად მოქმედებს, ვიდრე სახელმწიფოში. ტრადიციულ ქვეყნებში, რომელთა რიცხვს ჯერ-ჯერობით საქართველოც მიეკუთვნება, რელიგიური ფონი ძალზედ მაღალია, რასაც კარგად იყენებენ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად უცხო რელიგიების წარმომადგენლები. განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენ თვითონ არანაირ ბარიერს არ ვუნესებთ მათ მოღვაწეობას.

მეცნიერება. ჩვენ მიერ განსახილველი პერიოდის მეცნიერება ძირითადად ისტორიოგრაფიას მოიცავს. როგორც ცნობილია, სამეცნიერო და ზოგადი კულტურული ცენტრები საქართველოში ყოველთვის თბილისში მდებარეობდა. განსაკუთრებით ისინი მეფეთა სასახლეში იყვნენ წარმოდგენილნი. XVI-XVII სს-ის მეორე ნახევარში აქ თავს იყრიდნენ მეცნიერები, მწერლები, ხელოვანები. XVII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს მარიამ დედოფლის ინიციატივით გადაიწერა „ქართლის ცხოვრება". გარდა ქართული ისტორიული წიგნების თარგმნისა, ითარგმნებოდა უცხო ენებიდან ძირითადად სამართლის კანონები. პოლიტიკური დაშლისა და ეკონომიკური დაქვეითების პირობებში ქართული სამართლის ხარისხიც დაქვეითდა, რამაც უცხოენოვანი სამართლის წიგნების თარგმნის აუცილებლობა გამოიწვია.

სამეცნიერო მუშაობას თვით სამეფო კარი უწყობდა ხელს, რომლის გარეშეც ვერანაირი მეცნიერული მოღვაწეობა ვერ განვითარდებოდა. ვახტანგ V-ის შვილები: არჩილი, ლევანი და გიორგი XI სამეცნიერო მოღვაწეობის ორგანიზატორები იყვნენ. თვით არჩილი იყო პოეტიც და მეცნიერიც. ლევანი იყო შემკული ისეთი ეპითეტებითაც, როგორიცაა: „ბრძენი და მეცნიერი", „განსწავლული სამეცნიერო წიგნთა" [1, 273].

ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია ქართული მედიცინა, რომელმაც სხვა დარგებთან შედარებით მაღალ დონეს მიაღწია. ამის დასტურია XVI საუკუნეში შექმნილი ძეგლი „იადიგარ დაუდი", რომელიც დავით XI-მ სტამბოლში შეადგინა. აღნიშნული წიგნიდან ირკვევა, რომ ამ პერიოდის საქართველოში არა მხოლოდ წამლებით მკურნალობდნენ, არამედ ქირურგიული ჩარევებითაც.

XVII ს-ის უმნიშვნელოვანესი მოღვაწე გახლავთ ცნობილი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე (1626-1696 წწ.), თუმცა როგორც მეცნიერები ასკვნიან, მას სათანადო კრიტიკული ალღო არ გააჩნდა და ამიტომაც მრავლადაა შეცდომები მის ნაშრომში. მან 1691 წელს თარგმნა მუსლიმანური სამართლის წიგნი „ჯამი აბასი" და შეადგინა სპარსულ-არაბულ-ქართული ლექსიკონი. ასევე მას უდიდესი როლი მიუძღვის ფირდოუსის „შაჰნამეს" ქართული ვერსიების შექმნაში. XVI-XVII საუკუნეებში პრაქტიკაში ყოფილა ე. წ. „ღვთის სამსჯავროს" – ორდალების სისტემა. არქანჯელო ლამბერ-

ტის, შარდენისა და ფარსადან გორგიჯანიძის ცნობებით, XVII ს-ში გამოყენებული ყოფილა მდულრით გამოცდა და ორთაბრძოლა. თუმცა ხშირად სასამართლო უარს ამბობდა ხმლით გამოცდაზე და ფიცით კმაყოფილდებოდა.

მტერთა მრავალწლიანმა ბატონობამ დაღი დაასვა ასევე მაღალგანვითარებულ ქართული ხელოვნების დონეს, თუმცა, გამორჩეული ძეგლების რიცხვი მაინც დიდია. XVII ს-ში ამ მხრივ გამოირჩევა კახეთი. შენდება ახალი დედაქალაქი გრემი, ასევე მრავალი სხვა ტაძარი თუ სასახლე. სამშენებლო მასალებიდან დიდ გავრცელებას იძენს აგური. ამიტომაც, კახეთის ამ პერიოდის ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-კოშკების ძირითადი ნაწილი აგურითაა აშენებული. ამავე პერიოდს მიეკუთვნება შუამთის მონასტრის მშენებლობა, ასევე ანანურის ციხე, მჭადიჯვრის ეკლესია დუშეთსა და მუხრანს შორის, ქსნისა და სხვილოს ციხეები.

მხატვრული ლიტერატურა და ხალხური სიტყვიერება. XVI-XVII სს-ის ლიტერატურას მეცნიერები „აღორძინების ხანის" მწერლობას უწოდებენ. ამ პერიოდის შემოქმედებას მოტივთა და ჟანრთა ნაირსახეობანი ახასიათებს. ერთი მხრივ (ძირითადად XVI ს.) გრძელდება სპარსული პოეზიის ნიმუშების თარგმნა და, მეორე მხრივ, „ვეფხისტყაოსნის" გაგრძელებათა თუ ჩამატებათა მთელი ციკლი, რომელთა ავტორებიც იყვნენ: სარგის თმოგველი, მანუჩარ მწერალი, იოსებ ტფილელი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და სხვა.

განსაკუთრებით XVII ს-ში ძლიერდება საერო პოეზია, რომელიც სასულიერო მწერლობას ავიწროვებს. ქართული ლიტერატურა, როგორც ივ. ჯავახიშვილი ბრძანებს, საერთო-ეროვნული ინტერესების სამსახურში ჩადგა და ხალხის კულტურულ მთლიანობას განასახიერებდა. „ამასთანავე ლიტერატურაში გაჩნდა აჩრდილი პესიმიზმისა, რაც უმთავრესად ქვეყნის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში შექმნილი „ჩიხის" ანარეკლი იყო [3, 4]. საერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თავისი იდეოლოგიაც გაუჩნდა ლიტერატურული თხზულებების სახით. ესაა თეიმურაზ I-ის „წამება ქათევან დედოფლისა", არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა", იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი", ფეშანგი ხითარიშვილის „შაჰნავაზიანი" და სხვა.

XVI-XVII სს. კვლავაც მიმდინარეობდა ტაძრების მოხატვა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა დაქუცმაცებული იყო, მაინც ბევრი

სამხატვრო სკოლა არსებობდა. განსკუთრებით გავრცელებული ამ პერიოდში გახლდათ ტაძრებში მეფისა და მისი ოჯახის წევრების გამოხატვა. თუმცა ნახატის შესრულების დონე გაცილებით დაბალია წინა საუკუნეებთან შედარებით, რაც ისევ და ისევ ქვეყნის ეკონომიკური და სულიერი რეგრესით აიხსნება. კედლის მხატვრობას ძირითადად ადგილობრივი მხატვრები ასრულებდნენ, თუმცა იწვევდნენ უცხოელ მხატვრებსაც. მაგალითად კახეთში უმუშავიათ რუს მხატვრებსაც და აღუდგენიათ მხატვრობა ალავერდში, მოუხატავთ გრემის ეკლესია და სხვა. ამავე პერიოდს მიეკუთვება 1646 წ. ლევან დადიანის ინიციატივით მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაწერილი და 39 მინიატურით შემკული „ვეფხისტყაოსანი". ასევე 1628 წ. პირველი ქართული ბეჭდური წიგნი გამოიცა იტალიაში, რომში ნიკიფორე ირბახის ევროპაში ელჩობის დროს, სადაც სტეფანო პაოლინის ხელმძღვანელობით და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნიკიფორე ირბახის) მონაწილეობით დამზადდა ქართული შრიფტი და დაიბეჭდა ლოცვანი ქართული ანბანით, ხოლო 1628-1629 წწ. კი გამოქვეყნდა „ლექსიკონი ქართული და იტალიური შედგენილი სტეფანო პაოლინის მიერ, ქართველი ნიკიფორე ირბახის... დახმარებით".

XVI-XVII საუკუნეების ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების ამ მოკლე ექსკურსითაც კი საკმარისია დანახვა, შეფასება და დაფასება იმ უდიდესი ღვაწლისა, რომელიც პოლიტიკურად და სულიერად დაქვეითებულ საქართველოში განხორციელდა. მიუხედავად უამრავი სიძნელისა, მრავალრიცხოვანი შემოსევებისა და ქვეყნის შიგნით არსებული დაქსაქსვისა, ქართველმა ერმა მაინც შეძლო ევროპულ და მარადიულ ღირებულებებზე უარი არ ეთქვა და თავისი წვლილი შეეტანა ამ ზოგადსაკაცობრიო საქმეში. ძალზედ ძნელია, როცა მტერი გარს გახვევია, რაიმე ახალი შექმნა, თქვა ახალი სიტყვა სამყაროში. მაგრამ შინაგანი სიძლიერე, სიმტკიცე და ღვთისადმი რწმენა, რომელიც ქართველ კაცს ყოველთვის თან სდევდა, ყოველგვარ დაბრკოლებას ადვილად გადასალახს ხდიდა მისთვის. ამიტომაც საქართველო დღევანდელ დღემდე მსოფლიოს მრავალ ქვეყანას შორის ისევ და ისევ მოიაზრება როგორც ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი წარსულისა და ტრადიციების მქონე ქვეყანა, რომელმაც კაცობრიობას მრავალი ფასდაუდებელი და მარადიული მნიშვნელობის საგანძური მისცა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ჯამბურია გ., ქართული კულტურა XVI-XVII სს., ციკლიდან „საქართველოს ისტორია“, 3, თბილისი, 2010.
2. მუსხელიშვილი დ., სამსონაძე მ., დაუშვილი ალ., საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 2009 წლამდე, თბილისი, 2012.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1970.
4. დელიკოსტანტისი კ., სასკოლო რელიგიური აღზრდა, ათენი, 2009 (ბერძნულ ენაზე).

Archimandrite Michael Ejibishvili

Doctor of Social Sciences, Church of Greece

Georgian Culture in the Period of „Small Revival“ (XVI-XVII Centuries)

Summary

XVI-XVII centuries were one of the most difficult periods in the history of Georgia. Maintaining the status quo of this time was more important than creating a new one. Nevertheless, certain changes were observed in the development of education, science and literature. Despite the political decline in the country, the royal family tried to keep the steps of the world. Despite numerous invasions and internal unrest, the Georgian nation still managed not to reject European and eternal values and contribute to this universal cause.